



## სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული სოციალური მუშაკის საქმე წარმატებით დასრულდა



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

# სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული სოციალური მუშაკის საქმე წარმატებით დასრულდა

საია იცავდა 2020 წლის იანვარში სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან უკანონოდ გათავისუფლებული სოციალური მუშაკის უფლებებს. 2020 წლის დასაწყისში სოციალური მომსახურების სააგენტოში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდგომ, მეურვეობისა და მზრუნველობის უფლება-მოვალეობები გადაეცა სსიპ - სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს. ცვლილებების შესაბამისად, ბრუნვის სააგენტოს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყო სოციალური მომსახურების სააგენტოში შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა დაშტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე. ამის მიუხედავად, სოციალური მუშაკი სამსახურიდან რეორგანიზაციის საბაბით დაუსაბუთებლად გათავისუფლდა.

გათავისუფლების ბრძანება გასაჩივრდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. დავის მიმდინარეობისას, სოციალურ მუშაკსა და სსიპ - სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის შედგა მორიგება. სოციალური მუშაკი უკონკურსოდ, უვადოდ დასაქმდა სსიპ - სახელმწიფო ბრუნვისა და

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში და აუნამბლაურდა 4  
თვის იძულებითი განაცდური.